



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 12

„ 11 „ თებერვალი 2019 წ.

დადგენილება № 54

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალზე სადღესასწაულო (საახალწლო) პრემიის გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალზე გაიცეს სადღესასწაულო (საახალწლო) ფულადი ჯილდო (პრემია) შემდეგი წესითა და ოდენობით:
 - ა) ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი ოდენობით;
 - ბ) შტატგარეშე პერსონალზე - ხელშეკრულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი ოდენობით;
 - გ) აკადემიურ პერსონალზე - საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი ოდენობით;
 - დ) მოწვეულ სპეციალისტებზე - 100 (ასი) ლარის ოდენობით;
 - ე) პირებზე, რომლებიც შეთავსებით დაკავებულნი არიან ორ ან რამდენიმე თანამდებობაზე - შედარებით მაღალი თანამდებობრივი სარგოს ერთმაგი ოდენობით.
2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
 სპიკერი, პროფესორი

ლავრენტი ჩიბურდანიძე